

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამსახური
დღეს მოსლოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წაშში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 7-12, მთიან რაიონებში - 2-7 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 9 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 770 მილიმეტრი. მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

აჭარის ტურისტულ პოტენციალს მუშაის საერთაშორისო გამოფენაზე გაეცნო

აჭარის ტურისტულ შესაძლებლობებს მუშაის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე «OTM 2025» გაეცნო. აზიის უმსხვილესი გამოფენის ფარგლებში, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინათინ ზოიძემ შეხვედრები გამართა მარკეტინგული, ტურისტული კომპანიების, ასოციაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან, ინფლუენსერებთან. მათ შორის, The times of India-ს, Incredible India-ს, India Outbound-ის, Outlook traveller-ის, Travel Turtle-ს, Thomas cook-ის, BOTT-ისა და Tripoto-ს მენეჯმენტთან. მუშაის საერთაშორისო ტურისტული გამოფენა აზიაში ერთ-ერთი უმსხვილესია. წელს მასში 60 ქვეყნის 1600-ზე მეტი კომპანია და ორგანიზაცია მონაწილეობდა. გამოფენაზე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და 45 ტურისტულ კომპანიასთან ერთად იყო წარმოდგენილი.

„აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონისა და ზოგადად, ქვეყნის პოპულარიზაცია ინდოეთის ტურისტულ ბაზარზე გასულ წელს დაიწყო. 2024 წელს, აჭარის ინდოეთიდან მაღალრეიტინგული მედია გამოცემების, ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები და ინფლუენსერები სტუმრობდნენ. მათ შორის იყვნენ ჩონდენ Nast Traveler-ის, Outlook Traveler-ის, Thomas cook-ის, Travel Turtle-ისა და India Outbound-ის წარმომადგენლები. წელს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონი ასევე წარმოაჩინა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე ფინეთში, ესპანეთში, ლიეტუვაში, ესტონეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. წლის ბოლომდე, აჭარის პოპულარიზაცია ჯამში 25-მდე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე იგეგმება“, - ნათქვამია დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



3 ახალი პროგრამა

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14
აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელები სამედიცინო პერსონალთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრებს აგრძელებენ. აჭარის მთიანეთში ეს კამპანია შუახევში დასრულდა. აქ გამართული შეხვედრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ გახსნა. მან ბოლო წლებში რეგიონში აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის სამედიცინო პერსონალის საქმიანობაზე გაამახვილა ყურადღება. აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე ავთანდილ ფუტყარაძე დამსწრეთ ცენტრის 2025 წლის პროგრამებზე ესაუბრა. ითქვა, რომ წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 3 ახალ პროგრამას გეგმავს. ესენია: NIPS არაინფექციური პრენატალური სკრინინგი; ორსულობის მე-10 კვირიდან რისკ-ჯგუფის მიკუთვნების უფროსმა ფიქრია ჯუმუშაძემ იმუნოხაზიაზე პასუხისმგებელ პირებს მუნიციპალიტეტში 2024 წლის ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებლები გააცნო. ითქვა, რომ ვაქცინაციის მაღალი მაჩვენებლები მიუთითებს მოსახლეობის ნდობასა და იმუნოხაზიის პროგრამის ეფექტურობაზე.

შეხვედრაზე განიხილეს ღონისძიებების შესრულების წესები მათი სრულფასოვნად და ხარისხიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად. აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შუახევის განყოფილების უფროსმა ფიქრია ჯუმუშაძემ იმუნოხაზიაზე პასუხისმგებელ პირებს მუნიციპალიტეტში 2024 წლის ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებლები გააცნო. ითქვა, რომ ვაქცინაციის მაღალი მაჩვენებლები მიუთითებს მოსახლეობის ნდობასა და იმუნოხაზიის პროგრამის ეფექტურობაზე.



რას უიქრობს სტუდენტების ნაწილი მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით?

რამაზ საყვარელიძე: რინეთის აჩრდილი მოადგილე კავკასიას...

«ეს გზა შეაერთებს და გონიერებას მოითხოვს»

ტიტა აროშიძე: საკმაოდ აბიზიური გეგმები მაქვს

ISSN 2720-8702
9 772720 870003

გამოინერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციის «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



„ეს გზა შემართებას და ბონიერებას მოითხოვს“

ლუა ხომერიკი 593 50 82 69

თავის ისტორიული არჩევანი საქართველომ დიდი ხნის წინათ გააკეთა - ეს ევროპული განვითარების კურსია, გზა, რომელსაც კეთილდღეობისა და დემოკრატიის გარანტიად მიიჩნევენ საქართველოს მოქალაქეები. ბოლო დროს, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, ოპოზიციისა და ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ერთგვარად შეყოვნდა ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი. თავის მხრივ, მმართველ პარტიაში აცხადებენ, რომ საქართველო თანმიმდევრული, ქმედითი ნაბიჯებით უახლოვდება ევროპას და ბრალდებები უსაფუძვლოა. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ამ გზას სირთულეები და წინააღმდეგობები ახლავს



რა პროცესები ვითარდება? რა ფაზაში ვართ ახლა და რა გველოდება წინ? - ამ საკითხებზე მოსაზრებებს გვიზიარებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი **ლუა ხომერიკი**.

საუბარი ყველაზე აქტუალური თემით დავიწყოთ: მმართველი პარტია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მუშაობას წვედებს, თავის მხრივ, ამ დასავლურმა ორგანიზაციამ ხელისუფლებას გარკვეული პუნქტების შესრულება დაავალა...

ევროპის საბჭო უკვე ქმედით ნაბიჯებზე გადავიდა, რადგან ხელისუფლება არ ასრულებს საერთაშორისო მოთხოვნებს, გაიმართოს ახალი არჩევნები და გაათავისუფლოს სინდისის პატიმრები. იმისათვის, რომ აღდგეს ურთიერთობა ევროპასა და საქართველოს შორის, აუცილებელია ამ ორი მოთხოვნის შესრულება, რაც ეფუძნება ქართველი ხალხის ნებას.

რომ არჩევნები 2028 წელს გაიმართება. ოპოზიციას რა ბერკეტები აქვს, ხელისუფლებას არჩევნებთან დაკავშირებით კომპრომისზე რომ დაიყოლოს?

ამ შემთხვევაში ოპოზიციის ბერკეტი არის ევროპის საბჭოს მხარდაჭერა და რამ-

„დასავლეთი ავინანსებს საქართველოში უამრავ პროექტს, რომელთა განხორციელებისას იხარჯება მილიარდები და როცა ხელისუფლება უხვევს ევროპის კურსიდან, მაშინ უწევს ჩართვა ქვეყნის საშინაო საქმეებში და იმის მოთხოვნა, რომ ქვეყანა დაუბრუნდეს თავის ისტორიულ არჩევანს - ევროპას“

დენიმე დღის წინ მიღებული რეზოლუცია, რომლის დაქვემდებარებას ახალი არჩევნები და სინდისის პატიმრების გათავისუფლება. ეს ყველაფერი ოპოზიციის მუშაობისა და ქართველი ხალხის მუდმივი პროტესტის შედეგად იქცა.

როგორც ცნობილია, ზემოაღნიშნული საკითხები არჩევნებს უკავშირდება, რომელიც ჩვენმა მეზობლებმა (სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი), ასევე, უნგრეთმა და სლოვაკეთმა აღიარეს...

ჩამოთვლილ ქვეყნებში, შეიძლება ითქ-

ვას, ყველაზე ნაკლებად შედის ევროპული ფინანსები, ჩვენს რეგიონში კი საქართველო განვითარების თვალსაზრისით პირველი ქვეყანაა, რაც განპირობებულია ჩვენი პარტიოტების დახმარებით. თუ ეს არჩევნები დასავლეთის მხრიდან იქნება აღიარებული, გაიზარდება ქვეყანაში რუსული გავლენები და საქართველოს ევროპული განვითარების გზა შეჩერდება.

გნებდავთ, რომ ქვეყანაში არ წყდება აქციები, მაგრამ... მუსტი ხომ არ მინელდა?

ხელისუფლება ელოდა, რომ 20 იანვრამდე გაჩერდებოდა აქციები, განსაკუთრებით - ახალი წლის დღეებში, მაგრამ მოსახლეობა საქართველოს ოთხ დიდ ქალაქში ქუჩაში შეგება ახალ წელს. ეს ყველაფერი მიუთითებს პროტესტის სიმწვავეზე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, პროტესტის მასშტაბი გაზარდულზე გაიზარდება.

რაკილა ოპოზიციას შეეხებთ, მინდა გკითხოთ: რა სტადიაშია დღეს ოპოზიციური სექტორი?

ოპოზიციური სექტორის სამუშაო გარემო მოიცავს ევროპის საბჭოში, აშშ-სა და, რა თქმა უნდა, ქვეყნის შიგნით მუშაობას, რათა პარტიოტობა და მოსახლეობაც ინფორმირებული იყვნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ოპოზიციას არის შუამავალი ევროპასა და ქართველ ხალხს შორის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ექსპერტები აცხადებენ, რომ თუ პროდასავლური ოპოზიციის ერთ ბლატფორმად არ ჩამოყალიბდება და საერთო მისიონერით არ ისაუბრებს მოსახლეობასთან, მიზანს ვერ მიაღწევს.

ოპოზიციის ევროპის საბჭოში, საერთაშორისო არენაზე, პარტიოტობიდან ერთობლივად მუშაობის. რაც შეეხება ერთ ბლატფორმად ჩამოყალიბებას, ვფიქრობ, არასწორია, რადგან არჩევნებში ოპოზიციამ მოსახლეობას მრავალფეროვანი არჩევანი უნდა შესთავაზოს.

- პოლიტიკაში გამოირიცხული არაფერია და... დაველოდო, ხელისუფლებაში მოხვედით. გაქვთ თუ არა შემუშავებული გეგმა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით?

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება, ვფიქრობ, ყველას მთავარი მიზანია, ვისაც სურს, თამამად თქვას: ჩემი ქვეყნისთვის მე ეს გავაკეთებ. როგორია ჩემი ხედვა? ამ ტერიტორიებზე ფართოდ არის გავრცელებული რუსული მენტალიტეტი, ამიტომ, პირველი ეტაპისთვის, აუცილებელია ქართული განათლების დაბრუნება, ისტორიაში წვდომა და გათავისება, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოა; მეორეა ქართული სისტემების დანერგვა (როგორცაა, მაგალითად, იუსტიციის სახლი); მესამე - ამ ეტაპების განვითარების შემდეგ, პარტიოტობის დახმარებით, რა თქმა უნდა, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით, ოკუპაციის გაუქმება.

საგარეო საკითხსაც შეეხებით: ყველა ელოდება ტრამპი-პუტინის შეხვედრას. რამდენადა მოსალოდნელი უკრაინაში ომის სწრაფად დასრულება?

ამ საკითხზე წინასწარ საუბარი რთულია. პუტინი, ვფიქრობ, არ დაასრულებს ომს, რადგან ამით გამოჩნდება, რომ რუსეთი არც ისეთი ძლიერი ყოფილა. მეორე მხრივ, ტრამპმა უნდა აჩვენოს, რომ აშშ მხარს უჭერს უკრაინას. რუსეთისთვის უკეთესი იქნება, თუ ომს დაასრულებს, რადგან ამით ორივე მხარე ძალიან ზიანდება.

აშშ-ის პრეზიდენტს რა მთავარი გამოწვევები ელოდება საგარეო ასპარეზზე?

ჩემი აზრით, ტრამპს აქვს ორი გამოწვევა: რუსეთ-უკრაინის ომის და საქართველოში რუსეთის გავლენის დასრულება, რადგან თუ ეს არ მოხდება, ეს ნიშნავს, რომ რუსეთი შევიდა ევროპაში.

დაბოლოს, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ საქართველო არ აღმოჩნდეს რუსულ ორიბიტაზე?

ამისთვის გონივრული პოლიტიკის წარმართვაა საჭირო, თუმიც ხელისუფლებისგან სასიცოცხლო სავარჯის გხედავ. სამწუხაროდ, გაზრდილია რუსული გავლენა, უკონტროლოდ შემოიშვა რუსეთის უამრავი მოქალაქე, გაუქვია ევროპასთან ურთიერთობა და დაკარგა დასავლეთის ნდობა. აქედან გამომდინარე, ევროპული კურსი, ევროპული გზა ჩვენგან შემართებას, ძალისხმევას და გონიერებას მოითხოვს.

სალომე ზურაბიშვილი: ეს არის მართალი ბრძოლა და მართალ ბრძოლაში არასდროს მარცხდება ქართველი

ნანა აბულაძე 577 20 35 90

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი 2 თებერვალს ბათუმში იმყოფებოდა. ის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეკრებილ ახალგაზრდებთან მივიდა და სიტყვით მიმართა. აღნიშნა, რომ სოლიდარობას უცხადებს „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ მზია ამაღლობელს, რომელიც ციხეში 23-ე დღეა შიმშილობს, ასევე - 28 ნოემბრის შემდეგ აქციებზე დაკავებული ადამიანებს

ბათუმელებო, თქვენთან ვარ იმისათვის, რომ გამოვიცხადოთ სოლიდარობა და პატი-

ვისცემა. სწორედ ბათუმიდან დაიწყო ერთგვარი პროტესტი. თქვენ ხართ წყარო ამ პროტესტის, ვინც დღემდე მოდის, თან - ძალიან რთულ პირობებში. დღეს ჩვენ არა მხოლოდ აქ ვართ ყველანი ერთად, არამედ იზრდება ჩვენი მხარდაჭერა საზღვარგარეთიდან, რაც ასე გვჭირდება. ბრძოლა ჩვენია. ევროპის საბჭომ თავისი სათქმელი თქვა ძალიან მკაფიოდ და ყველას გასაგონად, რომ ის ხალხის, საზოგადოების, საქართველოს მხარეს დგას. ვერავინ შეაშინებს ქართველს, როცა იბრძვის იმისთვის, რომ ზვადინდელი საქართველო იყოს ისეთი თავისუფალი, დამოუკიდებელი, ევროპული, როგორც თითოეულ ჩვე-

ნგანს თავისი შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის უნდა. ეს არის მართალი ბრძოლა და მართალ ბრძოლაში არასდროს მარცხდება ქართველი. მე მინდა დღევანდელი დღე და თქვენ წინაშე გამოვსვლა მივუძღვნა მზია ამაღლობელს. ის არის დღეს ჩვენი ქვეყნის სახე. დარწმუნებული ვარ, რომ ის ძლიერად, კარგად იქნება, რადგან ის არის საქართველო, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა, რომელმაც შეკრებილებთან ერთად მარშით გადაინაცვლა ევროპის მოედანზე, სადაც ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრის „მანიფესტი“ გაიმართა.

როგორც აღნიშნული თეატრის სამხატვ-

რო ხელმძღვანელმა დავით დოიაშვილმა განაცხადა, საპროტესტო „მანიფესტი“ რეგიონებში გადის და პირველი გაჩერების ადგილი სწორედ ბათუმი გახლდათ.

როცა „ქართული ოცნება“ გტოვებთ, თეატრი გისმენთ, ამიტომ, არ წახვიდეთ იქ, მოდით აქ. ამ „მანიფესტის“ მთავარი გზავნილი არის სოლიდარობა - სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ. მთავარი, რის გამოც ჩამოვდით, არის ის, რომ მოვისმინოთ ბათუმელებს, მოვუხსინოთ თქვენს სათქმელს, - თქვა დავით დოიაშვილმა.

„მანიფესტი“ ასევე, ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობები გამოვიდნენ, რომლებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს მზია ამაღლობელს და აქციებზე დაკავებულ ყველა პატიმარს. სიტყვით ასევე გამოვიდნენ მსახიობ ანდრო ჭიჭინაძის დედა და ზვიად ცეცხლაძის მამა. მათი განცხადებით, რეჟიმმა საქართველოს სიყვარულის გამო გამოკეტა მათი შვილები ციხეში.

მინდა, მივმართო ბათუმში მყოფ „ოცნების“ მომხრეებს. ჩემო კარგებო, ეს ხელისუფლება გპირდებათ სამ რამეს - მშვიდობას, კეთილდღეობას და ღირსებით სვლას ევროპისკენ. და რა მივიღებთ დღეს ჩვენ? არ არის მშვიდობა, არ არის სამართალი. ამავედროულად, სად არის კეთილდღეობა? დასავლეთმა მოგვიხურა კარები, არანაირი ინვესტიციები არ იქნება. არანაირი სიმდიდრე და დოვლათი არ იქნება ამ ქვეყანაში და ასე მოტყუებული იქნებით მიმდინარე პროცესში ყოველთვის. ყველანი დაფიქრდით - „ოცნების“ მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ჩვენთვის ერთია ქვეყანა, ერთია საქართველო და მას უნდა მივხედოთ ყველამ. ბევრჯერ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ვიდრე ჩვენი შვილები სხედან ციხეში და თქვენი შვილები





უნდა შევიღოს თუ არა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შევიღოთ ოდა?

პროფესორები ნუგზარ მეგლიაძე და თემურ ტუნაძე წიგნში „ქართული ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი - აჭარა“ მეიდან ოდას ასე განმარტავენ: „სასტუმრო სახლი ანდა საცხოვრებელი ოთახი, ზოგჯერ იზოლირებული, ცალკე ასასვლელი... ამ ოთახს სახლის დაგეგმარებაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მას თითქმის ყოველთვის ჰქონდა გარეთ - ეზოსთან დამაკავშირებელი დამოუკიდებელი გასასვლელი. სტუმარი აქედან შედიოდა და გამოდიოდა. სტუმარმასპინძლობის გაწევის მიზნით, სასტუმრო ოთახს ოჯახი შუადღისთვის საშუალებითავე უკავშირდებოდა, მაგრამ ამ გზაზე ყოველთვის იყო კარი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში (ძირითადად, დამით) იკეტებოდა და სასტუმრო ოთახი სახლის სხვა ოთახებისგან გამოყოფილი, იზოლირებული რჩებოდა“

მეიდან ოდას დანიშნულებასა და გამოჩენილობაზე მინიშნებდნენ მწერალი და ეთნოგრაფი თედო სახოკია, მკვლევარები გი-



ორგი ყაზბეგი, დიმიტრი ბაქრაძე, აჭარის დიდი გულშემატკივარი და მოსიყვარულე ზაქარია ჭიჭინაძე.

აჭარის მთიანეთში ლაზური სტილით აშენებული სახლებია შემორჩენილი ჭინკაძეებში, დანდალოში, ოლადაურში, ფურტიოში. როგორც კი შეხვალთ ამ სახლებში, უმაღლესი ყურადღებას მიიქცევს მეიდან ოდა.

ბოლო დროს იუნესკომ აჭარიდან რამდენიმე ძველი და ობიექტი შეიტანა კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში. ძიება ისევე გრძელდება, რათა როგორც ობიექტმა თავისი ადგილი დაიმკვიდროს ამ საპატიო ორგანიზაციის ნუსხაში. არის სურვილი, რომ აჭარელი კაცის ყოფისთვის დამახასიათებელი მეიდან ოდაც მსოფლიოში გაიცნოს.

- ბაბუა ინუს ბერიძე 1897 წელს თედო სახოკიას მეგზურობდა ხულოდან შუახევის სოფლებში მიმოსვლისას. ის ოთახი, რომელიც ცნობილია მწერალმა და მოგზაურმა დამე გაათია, მეიდან ოდას დანიშნულებას ახლაც არ კარგავს. ყველაფერი ადრინდელი იერითაა შემონახული. ბავშვობაში და ახ-

ლაც ფურტიოში სტუმარი არ გვაკლია. ფატი მიქელაძისა და ლევან ბერიძის 11 შეილიდან ცოცხლად დარჩენილები, მათი შთამომავალი სტუმრის კულტს სათუთად ვინახავთ. მივესალმები მეიდან ოდას ასეთი დაფასების იდეას, - გვითხრა 80 წელს მიტანებულმა მეცნიერმა, ყოფილმა დიპლომატმა ზურაბ ბერიძემ.

ქვემოთ დიასამიძე სოფელ ჩანჩხალოში ცხოვრობს. ის მეიდან ოდას დანიშნულებაზე ამბობს: „მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, ვიდრე ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზას გაიყვანდნენ, საქარავნე გზა სოფელ ჩანჩხალოზე გადიოდა. სოფლის უხუცესები იხსენებდნენ, როგორი ხშირი იყო სტუმრიანობა. ჩემი წინაპრების მიერ აგებული სახლი საქარავნე გზის გაყოლებაზე იყო. სახლს ორი ბუხარი ჰქონდა. ერთი პირადი სარგებლობისთვის, მეორე - მეიდან ოდაში დამის გასათევად მოსული სტუმრისთვის. სიძველისა და მეწყურული პროცესების გამო სახლი დაიშალა. მე ახალი საცხოვრისი მოვიწყვე, მაგრამ სტუმრის ოთახი - მეიდან ოდა ისევ იხედავტოვე. მივესალმები ყურნალისტ ოთარ ცინარიძის იდეას, რომ ეს ეთნოგრაფიული ნიმუში სათანადოდ დაფასდეს.“

ხიჭკური-ნალვარევის საავტომობილო გზის გაყოლებაზე, სოფელ ცხემლისში შემორჩენილია ცაცხვის მასალით აშენებული ციციანების საცხოვრებელი სახლი. ის საუკუნეზე მეტს ითვლის. სახლს ისევე ამშვენებს ბუხარი, რაც მთიან აჭარაში არსებული სახლების სამუხუცემო ექსპონატად იქცა. მისი ახლანდელი მებატრონები ნუგზარ ციციანი და 80 წელს გადაცილებული დედა ასევე ქარცვივად არიან.

- ბაბუა და მშობლები სტუმრის კულტს დიდ პატივს სცემდნენ. მეუღლე და შვილებიც ამ წესს იცავენ. მეიდან ოდას ჩვენს სახლში ადრინდელი იერი და დანიშნულება არ დაუკარგავს. იქ შესასვლელი კარი არ იკეტება. პროფესიით პედაგოგი და სოფლის ხელმძღვანელი, ვიზიარებ იდეას, რომ მეიდან ოდა კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში შევიდეს. ამით მომავალი თაობები მის დანიშნულებას უკეთ გაითავსებენ, - ამბობს ნუგზარ ციციანი.

P. S. მისასალმებელია მეიდან ოდას იუნესკოს კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში შეტანის იდეა. „აჭარა“ მეცნიერების, სპეციალისტებისა და ეთნოლოგების მოსახერხებლად გაცნობს საზოგადოებას.

თამაზ აბულაძე - მენტორი მასწავლებელი და პუბლიცისტი

ხარულელი თამაზ აბულაძე ერთ-ერთია, ვინც აჭარის მთიანეთს შემორჩა. იშვიათია ისეთი ბიოგრაფიის აღმანი, როგორც ბატონი თამაზია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებლები უნივერსიტეტში დარჩენასა და მეცნიერულ საქმიანობაში ჩართვას სთავაზობდნენ, მაგრამ მამით ობოლმა, დედას ხათრი გაუწია და მერისის საშუალო სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. კოლეგებსა და მაშინდელ მოსწავლეებს კარგად ახსოვთ მისი ვაკეებილიები

ქედის რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელმა არჩილ თავდგირიძემ ნიჭიერ და საქმეზე შეყვარებულ ახალგაზრდას რაიონის მმართველობით სტრუქტურებში მუშაობა დააწვებინა. ბატონი არჩილი არ შემცდარა - მალე თამაზის საქმიანობა რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით განაზოგადეს. ქვეყანაში ღირებულებათა გადაფასება რომ დაიწყო, ამ დროს უკეთ წარმოჩნდა სულით ძლიერი და სპეტაკი აღმანიის სახე. მალე რაიონული გაზეთის რედაქტორობა ანდეს.

ვისაც წვდომა აქვს გაზეთის მაშინდელ ნომრებთან, უეჭველად დაინახავს რედაქტორის სტატუსისა და თავდა გაზეთის აქტიურობას... თუმცა ვინ დააღალა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლების სათავეში მოვიდა თუ არა, მისმა მომხრეებმა რედაქტორს კაბინეტიდან გასასვლელი კარი-სკენ მიუთითეს. ზოგიერთებივით არ დანებდა, ან რა ჰქონდა დასანებებელი?! წლები გალია პატიოსან და უანგარო შრომაში. შუახეველ პოეტ ზურაბ ზოიძესა და ყოფილ ყურნალისტ ვასო ხიმშიაშვილთან ერთად, რეგიონული გაზეთი „მთიანეთი“ დააარსა. მართალი კაცის ნათქვამი სიმართლე ზოგიერთებს არ სიამოვნებდათ, „მთიანეთსა“ და მის დამფუძნებლებს კრიჭაში ჩაუდგნენ და... მო-

თავნი იძულებულნი გახდნენ, წამოწყებულ სექციას მიეტოვებინათ.

დიდი ნებისყოფის ფასად, ფეხზე მყარად დადგა და მშობლიური სოფლის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მოსწავლეებთან მუშაობისა და კოლეგებთან ურთიერთობის მრავალწლიანი პრაქტიკული და თეორიული გამოცდილება სასიკეთოდ წაადგა ჯერ მას და შემდეგ - სკოლას. ის ქედის რაიონში პირველი პედაგოგია, რომელმაც „მენტორი მასწავლებლის“ წოდება დაიმსახურა. საყვარელ დამრეგებელსა და კოლეგას ისევე ხარულის სკოლაში გამოუჩნდა მიმდევარი აკადემიურ დოქტორ მაია ხარაძის სახით, რომელიც ქედაში მეორე „მენტორი მასწავლებელი“ გახდა.

პუბლიცისტიკა ბატონი თამაზის საქმიანობის სფეროა. ისეთი მხატვრულ-პუბლიცისტური წიგნები, როგორებიცაა „ორი სოფლის ჩირაღდანი“, „ცხოვრების ექიმთა სამყაროში“, კარგად წარმოაჩენს აღმანიების როლსა და ავტორიტეტს. მათი ავტორი არც ნაკლებ ტოვებს რეაგირების გარეშე. ამის დასტურია წიგნი „უმეცრების ფართი-ფურთი“. კიდევ უფრო საინტერესოა მისი ისტორიული რომანი „მალული ქრისტიანების გოლგოთა“. ბატონმა თამაზმა არც ქედაში გაბნეული ხუმრობები დატოვა უყურადღებოდ და ერთ წიგნად აკინდა.

თანავტორ უყუუნა შარაძესთან ერთად, მან წიგნი „ღამაზი ცხოვრების პალიტრა“ გამოსცა თავისი თანამედროვეისა და ღირსეული ქედელის დარია თურმანიძის ცხოვრებასა და საქმიანობაზე. პუბლიცისტიკა და პედაგოგიურ საქმიანობას ბატონი თამაზი ერთმანეთს უთავსებს და ახლა ახალ წიგნზე მუშაობს.

3 ქალიშვილისა და ვაჟის გამზრდელი, 5 შეილიშვილის ბაბუა 50 წელია, ჯალაბაშვილებელ ნათელა ბერიძესთან ერთად უძღ-



ვება ოჯახს. სტუდენტი იყო, როცა იქორწინა. ქალბატონი ნათელა მისი ერთგული მეგობარი და თანამოძრავეა.

- მალე 75 წელს უკან მოვიტოვებ. წლებმა მრავალ აღამიანს შემახვედრა, მეგობარი, ერთგული მრჩეველი არ მომკლებია, მაგრამ ყველაზე რთულ მომენტში ნათელა მედგა გვერდით, იგი მამხნევებდა და სტიმულს მძლევდა. დღემდე ასეა. ქორწინებიდან 50 წლისადმი მიძღვნილი საღამო შეხვედრა მოგვიწყვეს. მე უარზე ვიდექი, არ მიყვარს ზედმეტი ფაციფუცი, თუმცა მაინც დამიყოლიეს. მიყვარს სიმყუდროვე, სტატიებზე დამის

საათებში მუშაობა, წიგნების კითხვა. არც მაშინ მტოვებს უყურადღებოდ. ასე რომ, ერთმანეთს ვამარტებთ და ვამხნევებთ, - ამბობს ბატონი თამაზი.

საზოგადოება ამავდარ პიროვნებას ამავს უფასებს. თამაზ აბულაძეს „საპატიო ქედელის“ წოდება აქვს მინიჭებული, არც სამთავრობო ჯილდოები აკლია. მრავლის მომსწრესა და მნახველს, ყველაზე დიდ პატივად ხალხის მსახურება მიაჩნია.



სამჯერ ამუშავებული გული და 45 წუთში გადაჩენილი სისოსხლა

თამარ ლამბარაძე 595 85 80 06

ღამით ჩახვამ ბათუმელი ექიმი-პარამედისი, რომელიც სულ 10 თვეა, აჭარის სახანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში მუშაობს და უკვე არაერთი ადამიანის სიცოცხლე იხსნა

პარამედისის სტატუსი საქართველოს პარამედისმა, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შედეგად, 2023 წელს შემოიღო და ეს განლაგებული შესაბამისი უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც სპეციალიზაციის კურსის გავლის შემდეგ, დამოუკიდებლად ახორციელებს გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას პრეჰოსპიტალურ ეტაპზე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ფარგლებში.

თუ ადამიანის სიცოცხლე შენს ხელშია, ცხადია, უდიდესი პასუხისმგებლობა გეკისრება. ასე რომ, ბატონი დავითის პროფესია დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. როდესაც მას ამ სირთულეების შესახებ ვკითხეთ, ასე გვიპასუხა:

- პარამედისის პროფესია ურთულესიცაა და მრავალფეროვანიც. სწორედ აქ რჩები მართო საკუთარ გამოცდილებასთან და ცოდნასთან. გადაწყვეტილებას პოლიფუნქციურად მხოლოდ შენ იღებ, ამ დროს თავად ხარ რეანიმატოლოგიც, ემერჯენსოლოგიც, კარდიოლოგიცა და ნევროლოგიც. გადაწყვეტილებები მხოლოდ შენ უნდა მიიღო, რომლებიც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აისახება, რადგან პირველად დახმარებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ნებისმიერი მკურნალობის მართვაში.

დავით ჩახვამს ექიმობის მოტივაცია პირადად ტრავმადამ მისცა. ადრეულ ასაკში მშობლები გარდაცვალდა და სულ აქვს იმის გაცნობა, რომ სხვების გადარჩენისთვის ბრძოლა საკუთარი დანაკლისის კომპენსაციაა. ცხადია, ექიმს, რომლის ცოდნასა და გამოცდილებასაც ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა დამოკიდებულია, ყველაფრის გაკეთება და ბოლომდე ბრძოლა უნდა შეეძლოს. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტები უსუსტად ასეთი

ადამიანია. ბატონი დავითი რომ საკუთარი საქმის პროფესიონალია, ამაში ბევრი დარწმუნდა და მკითხველიც მალე დარწმუნდება.

რამდენიმე კვირის წინ ფეისბუქგვერდმა „შენი სიცოცხლის გადასარჩენად“ საზოგადოებას ამცნო, რომ ბათუმში სასწრაფო დახმარების პარამედისმა ქალს გაჩერებული გული სამჯერ ამუშავდა და სიცოცხლე გადაარჩინა. ბატონი დავითის შესახებ ჩვენც ამ პოსტით გავიგეთ.

ზოგადად, გაჩერებული გულის სამჯერ ამუშავების შემთხვევა იშვიათად ფიქსირდება და ასეთ დროს სამედიცინო პრაქტიკაში თითქმის 1%-ია ადამიანის გადარჩენის შანსი. მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვებით.



2024 წლის 21 დეკემბერს, შუალაშობა, ბათუმის №3 ბრიგადამ გამოძახება ლოზუნგით „ტიკილი მუცლის არეში“ მიიღო. ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ბრიგადას შუახნის ქალბატონი დახვდა, რომელსაც იმ მომენტისთვის ჩივილები აღარ აღენიშნებოდა.

ბატონმა დავითმა ანამნეზის შეკრების პროცესში ექვი გულის პრობლემაზე მიიტანა, რაც კარდიოგრაფიაზე ST სეგმენტის ელემენტობა მეორედ აღდგა. სასწრაფო დახმარების მანქანაში იგივე განმეორდა - დაახლოებით 12 წუთის განმავლობაში. პარამედისმა ამჯერადაც წარმატებით შექლო პაციენტის გულის ამუშავება.

რეანიმაციული ღონისძიებები, ჯამში, 45 წუთამდე გაგრძელდა, დავით ჩახვამს 7-ჯერ დასჭირდა ელექტროშოკის გამოყენება. პაციენტი გადარჩა და დღეს თავს კარგად გრძნობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონ დავითთან ერთად ამ პროცესში მონაწილეობდნენ ექთანი ნანა ცინცაძე და მძღოლი ირაკლი ტარიელაძე.

მაგრამ ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ სადაც და ვისთანაც მიდიხარ, შენი იმედი აქვს და საკუთარ სიცოცხლეს განდობს. აუცილებელია, ყველა შემთხვევაში, ბრძოლისუნარიანი იყო. ჩემი საქმე დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად უდიდესი ბედნიერებაა, რადგან ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შემიძლია, - გვითხრა დავითმა.



ვფიქრობ, ასეთ ადამიანებს უფრო მეტი დაფასება, მოფერება და პატივისცემა სჭირდებათ, რადგან მათი წვლილი შეუფასებელია, ისინი ხომ ყველაზე ძვირფასს - სიცოცხლეს გინარჩუნებენ.

დედოფლის კაბა მაქვს შეკერილი, არასდროს ვასამრჯელოზე არ მიფიქრია. უდიდეს ბედნიერებად მივიჩნევ, როცა გაწეული შრომისთვის მადლობას მიხდებიან. თბილისისა და მარტოხელის ძიძას მეძახიან. კარგად ვიცი, რაა თბილისი და როგორ ფასდება ამ კატეგორიის ადამიანების თანადგომა.

დედოფლის 100-მდე კაბა აქვს შეკერილი...

ცოტნე ცაგაძე 27 48 94

დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა ქალბატონს, რომელმაც მთელი ცხოვრება ხელსაქმის მოახმარა და ამ ასაკშიც ვერ ისვენებს. ნანული ცინარძემ განვლილ ცხოვრებასა და საქმიანობაზე გვესაუბრება

- დედაჩემი ხარბულელი (ქედის რაიონი) ზაქარაძეების შთამომავალი იყო. მას ცინარძეთელ შერიფ ცინარძესთან ორი ქალიშვილი შეეძინა. მე და ლილი მცირეწლოვნები ვიყავით, როცა დედა გარდაიცვალა. იმ დროს მეორე მსოფლიო ომი ახლად დამთავრებული იყო, ყველას უჭირდა. თითქმის ათი წელი ობლად დარჩენილ გოგონებს ბებია გვპატრონობდა, შემდეგ მამამ ტბეთელ სირმო მემიძეზე იქორწინა. მასთან 4 ქალიშვილი და ვაჟი შეეძინა, რომელიც, სასკოლო ასაკის, მოულოდნელად გარდაიცვალა. დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მივიღე. ლოლა ჩხაიძისა და ვანტანგ კეყერაძის სახით, კარგი მასწავლებლები მყავდა. ობიექტური მიზეზების გამო, საშუალო სკოლის სრული კურსი, ხელმოკლეობის გამო, უჩამბაში ვეღარ დავასრულე, სკოლაც სახლიდან 5 კილომეტრით დაშორებული იყო, არადა პედაგოგები მათემატიკაში ჩემი ნიჭიერებით გოცნებულნი იყვნენ. მაშინ გოგონებს ჯერ კიდევ ბევრი რამ გვეზღუდებოდა. ლილი სოფელში პირველი გოგონა იყო, რომელმაც ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და წარმატებული ბიოლოგიის მასწავლებლის სახელითაც სარგებლობდა. 20 წლისაც არ ვიყავი, როცა დედულეთში, შუქრი (შოთა) ბერიძეზე გავთხოვდი. ბედმა კარგი ოჯახი მარგუნა. წინა საუკუნის 60-იან წლებში საცხოვრებლად ორთაბათუმში გადავედით. 2 ქალიშვილი და ვაჟი გავზარდეთ. დღეს 8 შვილიშვილისა და 10 შვილთაშვილის სიმრავლით ვხარობ, მე-11-ს ველოდები. მუსიკალური ოჯახი გვყავდა. საღამოს საათებში შუქრი ფანდურს ახმინებდა და... მიხარია, რომ შვილიშვილი ნინო ხელოვნების სფეროშია. მან კვალიფიციური უმაღლესი განათ-



ლება მიიღო და შუახვევის სახელოვნებო და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის დირექტორია.

- თითქოს ყველაფერი გვიამბეთ...

- 80 წლის ადამიანს სათქმელს რა გამომიღებს. არაფერი მითქვამს ჩემ ხელობაზე, რომლის ერთგული ისევ ვრჩები. ხელსაქმესაც დამოუკიდებლად დავეუფლე. 100-მდე

დედოფლის კაბა მაქვს შეკერილი, არასდროს ვასამრჯელოზე არ მიფიქრია. უდიდეს ბედნიერებად მივიჩნევ, როცა გაწეული შრომისთვის მადლობას მიხდებიან. თბილისისა და მარტოხელის ძიძას მეძახიან. კარგად ვიცი, რაა თბილისი და როგორ ფასდება ამ კატეგორიის ადამიანების თანადგომა.

- ორთაბათუმი რატომ მიატოვეთ? - სტიქიამ, კერძოდ, მეწყრულმა პროცესებმა მოსვენება დაგვიკარგა. საფრთხე რომ გარდაუვალად გახდა, სოფელი მივატოვეთ და ბათუმში, ნაქირავებ ბინაში ვადმოვადით. გავიჭირდა. ასეთ დროს მხსნელად მოველინა ჩვენი ოჯახს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე რამაზ ჯინჭარაძე. მას ერთხელ შევხდი და ამ შეხვედრამ, საქმიანმა დაკვალიანებამ განაპირობა, რომ კეთილმოწყობილი ბინა უფასოდ ვადმოვცვეს. სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს. დროთა გადასახედიდან მსურს თქვენი გაზეით კეთილ ადამიანს, ბატონ რამაზს მადლობა გადავუხადო. მთის ჩიტი მთას შეაკვდება, ამბობენ, მეც ასე ვარ. შვილთან და რძალთან ერთად ვცდილობ, რომ სოფლის საცხოვრისი არ ვავაგრანო. მე და ჩემს მეუღლეს შუქრის დიდი სამუშაოები გვაქვს აქ გაწეული. სწორედ სოფელმა, შუქრიმ, ნაადრევად გარდაცვლილმა მამულმა დავიგომა შემაყვარეს მუსიკა, ქართული პროზა და პოეზია. ახლაც, დროს რომ გამოვნახავ, ახლად გამოცემულ წიგნებს ვკითხულობ. მიყვარს ქართველი მწერლები. ბოლო დროს საუკეთესო წიგნებით მახარებს დავითის მეგობარი და მეზობელი თამაზ აბულაძე. ჩემთვის სამაგიდოა მისი წიგნი „ორი სოფლის ჩირაღდანი“, რომელმაც დედულეთი შემაყვარა.


- ქალიშვილებს ინიციატივით, ლამაზი საღამო მოგიწყვეს... - ადამიანი ასაკში რომ შედის, პრეტენზიული და მომთხოვნი ხდება. პრეტენზიისგან შორს ვარ, მაგრამ იუბილეს გადახდის სურვილი ნამდვილად მქონდა, რაც რეალურად მიქცევს და ამით ბედნიერი ვარ. ამ 80 წლის განმავლობაში, ეს კიდევ ერთი გამოთქმა იყო ჩემს ცხოვრებაში.



დელოფინების უნიკალური შესაძლებლობები და ადამიანის როლი მათ სხოვრობაში

მარიამ ხოთარაძე 27 48 93

დელოფინები ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური, უნიკალური, სხვადასხვა კვლევით, სოციალური და ემპათიური არსებები არიან. ისინი ცხოვრობენ ჯგუფებად, ეხმარებიან და შეაგებებენ ან ავადმყოფ თანამოძმეებს და შეუძლიათ ემოციური კავშირების შექმნა ადამიანებთანაც. მათ აქვთ თვითშეცნობის უნარიც, შეუძლიათ სარკეში საკუთარი თავის ამოცნობა და განვითარებული აქვთ კომუნიკაციის საკმაოდ რთული სისტემა. გონიერი ზღვის ბინადრების გაწვრთნა არა მხოლოდ მაყურებლის გასართობადაა გამოსადგევი, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეცნიერებაში, თერაპიასა და მათ უკეთ შესწავლაში



როგორ მიმდინარეობს დელოფინების წვრთნის პროცესი? რამდენად მნიშვნელოვანია მათთან სწორი ურთიერთობა? რა განსაკუთრებული თვისებები აქცევს მათ უნიკალურ არსებებად? - დელოფინების სამყაროს საიდუმლოებებზე ბათუმის დელოფინარიუმის მწვრთნელი ჯაბა დიასამიძე გვესაუბრება.

- ბატონო ჯაბა, რა არის ყველაზე დიდი გამოწვევა დელოფინარიუმში მუშაობისას?

- ყველაზე დიდი გამოწვევა, ალბათ, ისაა, რომ რაც შეიძლება მარტივად და მოკლე ვადაში მიიღწიო წვრთნის სასურველ შედეგს, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ მით უფრო კარგი და მყარი ურთიერთობა ჩამოყალიბდება შენსა და დელოფინს შორის. ამ დროს უფრო კარგად ესმის შენი, თუ რას ითხოვ მისგან.

- როგორია დელოფინების გაწვრთნის ძირითადი მეთოდები?

- მთავარია, შენსა და დელოფინს შორის მყარი მეგობრული კავშირი დამყარდეს. სხვა დანარჩენი უკვე თავისთავად, მათთან ურთიერთობიდან გამომდინარე მოდის. ისინიც ადამიანებზე არიან - ზოგ მოქმედებს ადვილად ითვისებენ, ზოგ კი ცოტათი მეტი დრო სჭირდება.

- როგორ უმკლავდებით იმ შემთხვევებს, როცა დელოფინები არ ასრულებენ დავალებებს?

- რა თქმა უნდა, ასეთ დროს მათი ფიზიკური დასჯა გამორიცხებულია, რადგან მათ ადამიანის მიმართ აგრესია წარმოუდგენელია. დელოფინებისადმი ადამიანის აგრესიაც ბევრ კითხვას ბადებს. ყველაზე დიდი დასჯა მათი იგნორირებაა იქიდან გამომდინარე, რომ საკვების და საარსებო გარემოს შემდეგ პირველ ადგილზე მათთვის ადამიანთან ურთიერთობაა. მათი ყოველდღიური არსებობა ადამიანთან ურთიერთობის გარეშე

წარმოუდგენელია. შესაბამისად, თუ მას უფლებდებოდა, მაშინვე ხვდებოდა, რომ რაღაც არასწორად გააკეთა ან მისი საქციელი არ არის იმ სიტუაციისთვის შესაბამისი. ამის შემდეგ, რაც უნდა გასაკვირი იყოს, დელოფინი სიტუაციის გამოსწორებას ცდილობს.

- რამდენად რთულია ახალი მოძრაობების, ტრიუკების სწავლება და რამდენ ხანს გრძელდება ერთი დელოფინის გაწვრთნა?

- ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ზოგისთვის კონკრეტული მოქმედების ათვისება გაცილებით მარტივია, ზოგს მეტი დრო სჭირდება. საშუალოდ 8 თვიდან 1 წლამდე ვადა სჭირდება დელოფინს, რათა იმდენად დაეძგინოს იყოს, რომ მარტივად ჩაუტარდეს სამედიცინო დათვალეობა. ამ პროცედურის დროს ის გაუნძრევლად უნდა იყოს, რაც ნიშნავს, რომ საკუთარ თავს ბოლომდე განდობს.

- ყველაზე რთული ტრიუკი, რომელიც დელოფინს ასწავლით...

- რთული ტრიუკი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ რთული მიდგომა, ხანდახან - გაჯიუტება ჩემი მხრიდან და ამით საქმის უფრო გართულება. ცხადია, სასურველია, დასახულ მიზანს რაც შეიძლება მარტივად მიიღწიო, მაგრამ თუ რამე არ გამოდის, ეს არ არის სირცხვილი. კოლეგა იმისთვისაა, რომ ჰკითხო - იქნებ მას უფრო მარტივი გზა აქვს შენ მიერ დასახული მიზნის მისაღწევად?

- რა ახარებით დელოფინებს ყველაზე მეტად? დავალების კარგად შესრულებისთვის რითი აჯილდოებთ?

- ჯილდოდ შეიძლება გამოიყენო ყველაფერი, რაც დელოფინს სიამოვნებას ანიჭებს, იქნება ეს საკვები, სათამაშო თუ მოფერება. მისთვის ადამიანის მხრიდან ყველა პოზიტიური საქციელი ჯილდოა.

- შესაძლებელია თუ არა წვრთნა ადამიანთან მჭიდრო ემოციური კავშირის გარეშე?

- შეუძლებელია, ადამიანმა მჭიდრო კავშირი ვერ დამყაროს დელოფინთან. პირადად ჩემთვის ეს წარმოუდგენელია, მაგრამ თუ კავშირი ვერ შედგა, გამოცდილებიდან გამომდინარე ვიტყვი, რომ ამაში ადამიანის მხრიდანაა შეცდომა და შევებული ან საერთოდ არ აქვს მათთან ურთიერთობის ინტერესი. შესაბამისად, თუ ეს კავშირი არ შედგა, შემდგომში წვრთნაზე და მათ შორის რაიმე სახის ურთიერთობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

- რამდენად კომფორტულია დელოფინარიუმის პირობები მათთვის?

- ჩემი აზრით, მათთვის ეს გარემო ძალიან კარგია - შესანიშნავი კვება, მოვლა, შენახვა, მაქსიმალურად ბუნებრივი პირობები აქვთ. რა თქმა უნდა, მესმის იმ ადამიანებისაც, რომლებიც ამბობენ, რომ დახურულ სივრცეში არიან და ეს არ არის მათთვის დამახასიათებელი გარემო, მაგრამ სანამ ამ პრობლემამდე მივალთ, იქნებ იმაზე დავფიქრდეთ, თუ რა მდგომარეობაა დღესთვის მათ საარსებო გარემოში? დაბინძურებულია ჩამდინარე წყლებით, ქიმიკატებითა და ნავთობპროდუქტებით, რის გამოც მათი არსებობაც კი ეჭვქვეშაა დასაყენებელი, აღარაფერს ვამბობ დელოფინების საარსებო პირობებზე, საკვების ნაკლებობასა და პოპულაციის შემცირებაზე, ასევე, ქიმიკატებისაგან გამოწვეულ, უკვე გენეტიკის დონეზე ჩამოყალიბებულ დაავადებებზე, რაც ვიზუალური დათვალეობით ხდება შესაძლებელი. ასე რომ, სანამ ყველაზე უკანასკნელი პრობლემის გადაჭრას დავიწყებთ, იქნებ ჯერ საწყის პრობლემებს დავუბრუნდეთ.

- როგორია თქვენი მიდგომა, დელოფინებმა თავი კარგად რომ იგრძნონ ხელოვნურ გარემოში?

- ეს ძალიან მარტივია, მათთან მაქსიმალურად პოზიტიური უნდა იყო. თუ წვრთნის ან სწავლების პროცესში რაღაც არ გამოდის, მაგრამ ატყობ, რომ ცდილობს, ეს

ქმედებაც უნდა წახალისო. ყოველთვის უნდა ეცადო, რომ სამუშაო დღე მისგან დადებით საქციელზე დაასრულო და ამისთვის აუცილებლად შესაბამისი ჯილდოც უნდა მი-

იღოს. მუდმივი ურთიერთობის ინტერესი უნდა გაუღვივო.

- რამდენად დიდ გავლენას ახდენს სტრესი დელოფინების ქცევაზე და როგორ უმკლავდებით ამას?

- სტრესული მდგომარეობა მათთვის არ არის დამახასიათებელი, თუმცა ძალიან იშვიათ შემთხვევაში ავლენენ ხოლმე, რაც, როგორც აქამდე ვახსენე, მარტივად მოსაგვარებელია მათთან სტაბილური და პოზიტიური ურთიერთობით. ყოველთვის უნდა ეცადო, ხალისი შეიტანო დელოფინების ყოველდღიურ ცხოვრებაში - ისინი ხომ ამას იმსახურებენ.

- რამდენად ჭკვიანები არიან დელოფინები და როგორ გლინდება მათი ინტელექტი?

- დელოფინი ყველაზე დიდი ინტელექტუალია ძუძუმწოვარი ადამიანის შემდეგ (ხშირ შემთხვევაში - ადამიანამდეც). მარტივად რომ ავხსნა, რამდენად ჭკვიანები არიან, საკმარისი იქნება მრავალთაგან ერთი ფაქტი: როცა დელოფინი იბადება, მას მშობელი სახელს არქმევს. რამდენად წარმოუდგენელიც უნდა იყოს, ამაზე რამდენიმე ექსპერიმენტია ჩატარებული და უკვე დამტკიცებული ფაქტია.

- თუ გაქვთ შემთხვევები, როცა დელოფინები თავად იგონებენ ახალ მოძრაობას? და კიდევ: თქვენთან ურთიერთობისას თუ იყენებენ უნიკალურ ყვინტებს ან ხმებს?

- ასეთი შემთხვევა ხშირია. ეს კიდევ იმაზე მიუთითებს, რომ მწვრთნელსა და დელოფინს შორის საკმაოდ მყარი, მეგობრული ურთიერთობაა. ისიც ცდილობს, თავისი შესაძლებლობით გააკვიროს და გთავაზობს ამ შესაძლებლობის შემდგომში გამოყენების საშუალებას. რაც შეეხება ყვინტებს, ყველა ყვინტი უნიკალური და განუმეორებელია, მათი მხოლოდ მიმსგავსებაა შესაძლებელი, ხოლო იდეალურად განმეორება - შეუძლებელი.

- წვრთნის პროცესში განსაკუთრებული ან დაუფიქრარი რა შეგმთხვევათ?

- განა დელოფინებთან ურთიერთობა თავისთავად არ არის განსაკუთრებული? ნუთუ ყველას შეუძლია ჰქონდეს ყოველდღიური ურთიერთობა მათთან? ყოველივე ამის ანალიზი თქვენთვის მომინდვია.

- დელოფინს რამე არაპრობლემატიკული თუ გაუკეთებია შოუს დროს?

- ყოველთვის! რა თქმა უნდა, ეს მაყურებლისთვის რთული შესაძენია, მაგრამ არის შემთხვევა, როცა ამას სხვებიც ამჩნევენ. პატარა დელოფინებს ვგულისხმობ, როცა შოუს დროს ისინი, დავალების ნაცვლად, სხვა რამეს აკეთებენ. რას ვიზამთ, ჯერ პატარები არიან და მათთვის ეს ყველაფერი უცხოა. მთავარია, მაქსიმალურად ცდილობენ, აჩვენონ მაყურებლებს თავიანთი შესაძლებლობები.





„ჩვენი ფოლკლორის ნიშნები უნდა გასვლით ქვეყნის საზღვრებსა“

ოთარ ცხეიძე 599 85 21 14

შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულ ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ნაი“ სამხატვრო ხელმძღვანელი მარინა შვამია იუბილარია...

- ქალბატონო მარინა, გილოცავთ დაბადებიდან მრგვალ თარიღს. გვიამბეთ თქვენ შესახებ?

- პირველ რიგში, მადლობა მოლოცვისათვის. თქვენს გაზრდის, მის მკითხველებს სიკეთესა და წინსვლას ვუსურვებ. მისარია, დაბადების დღეს რომ მილოცავენ. მეც ერთი ქართველი ვარ, რომელიც ჩვეულებრივი დინებით მიჰყვება ცხოვრებას. მინდა ისეთივე უბრალო, მოსიყვარულე, მხიარული დავიჩინო...

სახურებით, უჩამბის სკოლის გუნდი მოსწავლეთა დათვლიერებებზე მეტწილად წარმატებით გამოდიოდა. მასწავლებელი 1985 წელს, შუახევის კულტურის სახლის მაცურებელი სავსე დარბაზში, რომელმაც პატარა გოგონა სცენიდან ოვაციით გამაცვლია. იმ დღის შემდეგ სცენასთან გაუცხოება აღარ მქონია. მიხარია, როცა მაცურებელი ტაშით მაწილდებოდა.

- შუახეველმა ქალბატონებმა თქვენი შემოქმედება უცხოეთშიც გაიტანეთ. რომელი გასტროლი იყო დასამახსოვრებელი?

- ყოველი გასტროლისთვის კარგად ვემზადებით, რაც კულტურის ცენტრების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა ვახტანგ ბერი-

კახური, რაჭული) სიმღერებიც შევიტანეთ რეპერტუარში. სწორედ ეს სინთეზი მოგვიწონს ეროვნული ფოლკლორის მკვლევრებში. 2013 წელს აჭარა-გურიის ქედზე არსებულ მთა თავინურზე „წვარიმინდგრობის“ ფესტივალი წამოვიწყეთ. პირველად აქ შევავრთეთ აჭარულ-გურიული ფოლკლორის ნიმუშები. ამავს ვერ დავუყარავ ანსამბლის ყოფილ უხუცეს წევრ ნანული ჭაღალიძეს. მან პირველმა გამოიტანა სცენაზე ასეთი ხასიათის ფოლკლორი, როცა ინსტირვების გოგონათა გუნდს ხელმძღვანელობდა. ახლა ჩვენი ვალია, ასეთი ხასიათის სიმღერები არ დავკარგოთ. რა თქმა უნდა, ადგილობრივ ფოლკლორს მეტ ყურადღებას ვუთმობთ.



როგორც ბავშვობაში ვიყავი. მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილს, ადამიანებთან გულთბილი დამოკიდებულება ცხოვრების წესად მაქვს ქცეული. კარგი თანაკლასელები მყავდა, ვერც სტუდენტურ წლებს დავმდურებ. ბედმა ოჯახიც კარგი მარგუნა. ხელოვანს თუ წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრება გაქვს, სასურველ მიზანს ვერ მიაღწევ.

- ვისი დამსახურებაა, მუსიკალურ ხელოვნებას რომ ეწიარეთ?

- პირველ რიგში, ჩემი ოჯახის, სადაც დავიბადე და გაიზარდე. მშობლები კულტურის სფეროში იყვნენ დასაქმებულები. დედა ბიბლიოთეკარი იყო, მამა - შუახევის კულტურის სახლის დირექტორი. ნაყოფიერი და მრავალშვილიანი მუშაობისთვის „საპატრიოტო შუახევის“ წოდება აქვს მინიჭებული. ხელოვნებისადმი ჩემი სიყვარული კიდევ უფრო გამაყარა ბიძაჩემმა ნოდარ ფევაძემ. პედაგოგებმაც თავისი წვლილი შეიტანეს. მცირე ასაკიდან მუსიკალურ ინსტრუმენტებზე ვუკრავდი, თეორიული მასალა კარგად ვისწავლე და პრაქტიკაც მივიღე. ვიყავი სკოლის მხატვრული გუნდის წევრი, მოსწავლეთა ოლიმპიადებზე და სასკოლო ღონისძიებებში გამონაწილდები. ნოდარ ფევაძის დამ-

ძის დიდი თანადგომა რომ არა, „ნაი“ ასეთ წარმატებებს ვერ მიაღწევდა. განსაკუთრებით საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო ტაო-კლარჯეთში, „ჩვენებურებთან“ გამართული კონცერტი, რომლის შემდეგ იქაურმა ქართველებმა ოჯახებში მიგვიპატიყეს.

- რას აკეთებთ რეპერტუარის განახლება-გამდიდრებისთვის?

- სიახლეების ძიება დაარსების დღიდან ჩვენი მთავარი მოთხოვნაა. ანსამბლი გუნდური პრინციპით მუშაობს. განსაკუთრებულ ყურადღებას სოფლებში შემოწახულ სიმღერებს ვუთმობთ. სცენაზე ის ნიმუშები გამოვავსებ, რომლებიც თითქმის აღარავის ახსოვდა. ასეთი ნიმუშები მაცურებელს იზიდავს, ფოლკლორის მკვლევრები კი გვიწონებენ, რჩევებს გვაძლევენ. მასწავლებელმა პანდემის პერიოდში - ეროვნული ფოლკლორის მკვლევრებთან, ქალბატონებთან ეთერ თათარაიძესთან, ნანა ვალიშვილთან, ბატონ უჩა დვალისთან ონლაინრეჟიმში ვმუშაობდით. მათი რჩევების საფუძველზე, სიმღერებში ცვლილებები ჩავრთეთ. მიღებული თეორიული მითითებების საპასუხოდ, ჩვენი კუთხისთვის დამახასიათებელი სიმღერების გარდა, სხვა კუთხეების (მეგრული, მოხეურის,

- თაობათა ცვლის პროცესი „ნაიშიც“ არ გამოირიცხება...

- ჩემი წინამორბედი სამხატვრო ხელმძღვანელის დამსახურებაა სოფლებში მცხოვრები ცეკვა-სიმღერის მოყვარული ქალების მოძებნა და ანსამბლში გაერთიანება. „ნაი“ ამ საუკუნეში დაარსებული ანსამბლია, თუმცა თაობათა ცვლის პროცესი აქაც გარდაუვალია. ასაკი, გარემო, ოჯახური პირობები თავის გავლენას ახდენს. ყველაზე შორეული სოფელია ინსტირვითი. ამ სოფლიდან იყო ნანული ჭაღალიძე. სიმღერის ასაკიც დაერთო და... მისი წასვლა ანსამბლიდან დანაკლისი იყო. ახლაგაზრდა მომღერლით ჩავანაცვლეთ. ანსამბლში თაობების ცვლა უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

- როგორ არჩევთ ანსამბლისთვის მომღერლებს?

- პირველ რიგში, ბავშვობიდან უნდა მქონდეს შესისხლხორციელებული ქართული ფოლკლორის სიყვარული. რა თქმა უნდა, შესაბამისი განათლება, სერტიფიკატი და დიპლომი მოეთხოვება. ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულებსაც ჩვენთან გვა ხსნილი აქვთ.

- წლების განმავლობაში მშობლიურ სკო-

ლაში მუსიკის მასწავლებელი იყავით, ანსამბლიც ჩამოაყალიბეთ. თქვენი ბათუმში გადასვლის შემდეგ ანსამბლს რა ბედი ეწია?

- მშობლიურ სკოლაში მუშაობის წლები ჩემთვის განსაკუთრებული და დასამახსოვრებელია. მივიღე პრაქტიკა, ჩამოვაყალიბე ანსამბლი „იავნანა“. დღეს ანსამბლი აღარ არსებობს. მისი დაშლა სამსახურის შეცვლას კი არა, მოსახლეობის მიგრაციას უკავშირდება.

- ბათუმში რა მიმართულებით საქმიანობთ?

- სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, მუშაობა დავიწყე ბათუმის მე-9 საჯარო სკოლაში მუსიკის მასწავლებლად. აქ კარგი კოლექტივი დამხვდა, რამაც გადამატანა მშობლიური სკოლის დატოვებით მიღებული ტკივილი.

- რა ბედი ელის იმ ზეარს, რომელიც რამდენიმე წლის წინ გააშენეთ ლაკლავში?

- მამული, რომლის მოვლა-პატრონობა მე და ჩემს მეუღლეს თემურს გვევალება, ლაკლავში გამორჩეული იყო. მისი ყოფილი პატრონი მოხერხებულად ცნობილი მევენახე და მეურნე გახლდათ. მამამთილი რვეაზი და ჩემი მეუღლე მის კვალზე მოდიან. ერთი წუთითაც ვერ დავუშვებ, რომ მათი ნაშრომ-ნაამაგარი მივატოვო. მეუღლე და შვილები მოცველობით დადიან სოფელში, ყოველ ასვლაზე ჩვენს კარ-მიდამოს სიახლეს მატებენ.

- ნიჭიერი და წარმატებული შვილები დედა ხართ. როგორია მათი დამოკიდებულება ხელოვნებისადმი?

- შვილები კარგად უკრავენ ფანდურზე, ჭიბონზე, დოლზე, პიანინოზე, მაგრამ მათი პროფესია არ არის ხელოვნებასთან დაკავშირებული.

- აქტიურად მუშაობთ საქართველოს ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელობასთან. როგორია ანსამბლის უახლოესი გეგმები?

- ფოლკლორის ცენტრთან მუშაობა რამდენიმე სიახლეს დაუდო სათავე. ჩართული ვართ ახალ პროექტებში. ქალბატონი ნანა ვალიშვილი ახლახან ცენტრის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. თვითონ და ცენტრის დირექტორი ბატონი გიორგი დონაძე შუახევში რამდენჯერმე ჩამოვიდნენ. საქმიანი შეხვედრები გვქონდა. მუშაობა ასეთი დონის ხელმძღვანელებთან საინტერესოა. მოგვეცა ახალ პროექტში ჩართვის შესაძლებლობა, რაც რეპერტუარის გამდიდრებაზე აისახა. ანსამბლის უახლოესი გეგმებიდან მთავარია, მთელი საქართველო შემოვიაროთ, უპირველესად კი ის რაიონები და სოფლები, სადაც აჭარიდან გადასულები სახლობენ. ჩვენი ფოლკლორული ნიმუშები უნდა გაცდეს ქვეყნის საზღვრებსაც. ამ მიმართებით მეტ თანადგომას მოველით აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან.

- მეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში, ინეგოლის „ჩვენებურების“ ფესტივალში თუ მიიღებთ მონაწილეობას?

- იქ მცხოვრები ქართველებისა და ჩვენს ფოლკლორის შორის დიდი მსგავსებაა. იქ ერთხელ უკვე გვქონდა გასტროლი და მრავალი სიხალისი მოწვევა გავხდით. თუ მიგვიწვევენ, აუცილებლად წავალთ.

- რეგიონისა და ადგილობრივი ხელმძღვანელობა ანსამბლის მიმართ თანადგომას თუ იჩენს?


- მიმდინარე წელი ანსამბლის თითოეული წევრისთვის სიახლით დაიწყო. ძალიან მცირე ხელფასი გვქონდა და ახლა მოგვემატა, რაც კარგია. რამდენიმე წლის წინ ანსამბლის წევრების ჩაცმულობაც ვერ აკმაყოფილებდა დროის მოთხოვნებს. ესეც გამოსწორდა. ყოველი კონცერტის წინ ვვრძობთ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების თანადგომას.

ლაქსაზის ახალი კრებული - „ალარმე“

ცოტხე ცხეიძე 27 48 93

ნინო მოდრეკილაძის კარგად იცნობს გაზეთ „აჭარის“ მკითხველი. აჭარის მენოტემ და მოსიყვარულემ ამ კუთხის პატრისავემად ლექსების ერთ კრებულს „ქვაკაცა“ დაარქვა. ეს ადგილი მან ჭვანის ხეობაში, კერძოდ, ჭვარიმინდორზე ყოფიანას ნახა


ნინო საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ აქტიური მონაწილეა და რამდენიმე ლექსიც მიუძღვნა. მათთან ერთად, კიდევ ბოლო დროს დაწერილი ლექსები შეტანილი ნინო მოდრეკილაძის ახალ კრებულში „ალარმე“. ეს პოეზია სხვა ალარმეთა, ალარსხვათა თავშესაფრად იქცევა, როგორც თავად პოეტი უწოდებს და ეძებს თანამგრძობთა სულებს. ადამიანის შინაგანი სამყარო ხომ უნიკალურია, განუმეორებელია და ძნელია, მირიადში ის ერთი თანამგრძობი იპოვო... და მაინც ამ კრებულში მკითხველი, თუ ზუსტად ავტორის მსგავსად არა, თავისებურად მაინც ჩაუღრმავდება სულის შინაგან შრეებს, რაღაცას თავის პიროვნებასთან გააიგივებს და შეიყვარებს ნინო მოდრეკილაძის შემოქმედებას, რამეთუ ჩვენ, ყველას, ის ქმნდება გვიყვარდება, რომელშიც საკუთარ თავს მცირედ მაინც აღმოვაჩინთ“, - წერია კრებულის შესავალში. წიგნის რედაქტორია დავით ხარატიშვილი.



ნინო მოდრეკილაძე

გამოფანა - ხელოვნების მუზეუმში

აჭარის მუზეუმის ადმინისტრაციის ინიციატივით, 2025 წლის პირველი გამოფანა გაიხსნა აჭარის ხელოვნების მუზეუმში



გალერეაში ბათუმის 2018-19 წლების საერთაშორისო პლენერების ფარგლებში შეს-



რულებული ფერწერული ტილოებია გამოფენილი. ექსპოზიციაში 10 მხატვარი მონაწილეობს, მათ შორის - ავტორები ბათუმიდან და ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან. ნამუშევრების თემატიკა, ძირითადად, ბათუმის ხედვებია. დამთავლიერებებს ნახატების ნახვა 10 თებერვლამდე უფასოდ შეეძლება.